საინტერესო ორთაბრძოლაში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 16 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 1:0 (1:0).

თბილისი: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი, ჩელებაძე, შენგელია (კაკილაშვილი).

კიევი: რომენსკი, კონკოვი, ბესონოვი, ჟურავლიოვი, დემიანენკო, ლოზინსკი, ბურიაკი, ხაპსალისი, კოლოტოვი, ვერემეევი (ბალტაჩა), სლობოდიანი (ბლოხინი).

მსაჯი: ე. აზიმ–ზადე (ბაქო).

გოლი გაიტანა ა. ჩივაძემ (32–ე წ.).

დუბლიორები – 0:0.

ამ მატჩითა და მისი შედეგით უფრო მეტად სტუმრები იყვნენ დაინტერესებულნი – ჩემპიონატის უკანასკნელი ორი ტურის წინ ლიდერს “სპარტაკსა” და კიევის დინამოელებს მხოლოდ ერთი ქულა აშორებდათ. უკრაინელ ფეხბურთელებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ გამარჯვება თუ არა ფრე მაინც, რათა ოქროს მედლების მოპოვების შესაძლებლობა შეენარჩუნებინათ. რაც შეეხება მასპინძლებს: ეს უფრო საპრესტიჟო მატჩი იყო ჩემპიონისათვის, რადგან მეოთხე ადგილს ძნელად თუ ვინმე შეეცილებოდა. რა თქმა უნდა, წარმატების შემთხვევაში რჩებოდა საპრიზო მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსიც.

კიეველთა საბრძოლო ჟინი უნდა გაეძლიერებინა იმ გარემოებას, რომ გუშინდელ მატჩში თბილისელებს აკლდათ ორი წამყვანი ფეხბურთელი – ყიფიანი და გუცაევი.

სტუმრებმა ფრთხილად დაიწყეს შეხვედრა. უთუოდ იმის მოლოდინში, რომ თბილისელების შეცდომით ესარგებლათ. ასეთი შესაძლებლობა პირველ ტაიმში კიეველებს ფაქტიურად მხოლოდ ერთხელ, 34–ე წუთზე მიეცათ. ბესონოვმა რამდენიმე მეტრიდან ააცილა კარს. უფრო სახიფათო და, რაღა თქმა უნდა, ხშირი იყო მასპინძელთა შეტევები: მე–10 წუთი – დარასელია–შენგელიას კომბინაცია, მე–15 წუთი – ჩელებაძის ჩაწოდებულ ბურთს წამით ვერ მიუსწრეს პარტნიორებმა. 32–ე წუთზე კიეველთა კართან კუთხური ინიშნება. ჩივაძემ ოსტატურად დაარტყა თავით – 1:0.

უფრო მძაფრი, სანახაობრივადაც საინტერესო გამოდგა მეორე ტაიმი. კიეველები იძულებული გახდნენ წინ წასულიყვნენ და აქტიური თამაშით შექმნეს კიდეც სახიფათო მომენტები თბილისელთა კართან, მაგრამ იქ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა გაბელია, თანაც სტუმართა დაცვაში იმდენი ბზარი გაჩნდა, რომ თუ გოლზეა ლაპარაკი, პირველ ყოვლისა ისევ სტუმართა კარში უნდა გასულიყო – მე–20, 21–ე, 39–ე წუთებზე სტუმრები სასწაულით გადარჩნენ – ბურთი ხან ძელს ხვდებოდა, ხან მცირე მანძილით სცდებოდა კარს.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ თბილისის “დინამოს” გვარიანად შეცვლილმა შემადგენლობამ მონდომებით, შემართებითაც კი ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

ბ. ირემაძე.

“ლელო”, 17 ნოემბერი, 1979 წ.